დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროფესიული და უწყვეტი განათლება, სამაგისტრო საფეხური

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

27.10.2022

27.11.2022

თბილისი

შინაარსი

I. 4**II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა** 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 6

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 6

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 10

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 14

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 16

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 22

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245428158
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქეთევან აფთარაშვილი, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკატერინე გიგაშვილი, საქართველო, სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიო ბაზაძე, შპს ევროპული სკოლა, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ჯოჯუა, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა მჭედლიშვილი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	პროფესიული და უწყვეტი განათლება
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Vocational and Continuing Education
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	განათლების მეცნიერებების მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	განათლების მეცნიერება Education Science 0111
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	პირობით აკრედიტებული (N 1243300, 30/12/2020)
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „პროფესიული და უწყვეტი განათლება“ შემუშავდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ), მაგდებურგის ოტო ფონ გერიკის უნივერსიტეტსა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე. პროგრამა პირველ ეტაპზე ჩამოყალიბდა შემდეგი სახელწოდებით: ,,პროფესიული განათლება და ადამიანური რესურსების განვითარება“, რომელსაც პირობითი აკრედიტაცია მიენიჭა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 30 დეკემბრის #1243300 გადაწყვეტილებით. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების, ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის, სტუდენტთა და დამსაქმებელთა მოსაზრებების გათვალისწინებით კი პროგრამამ განიცადა არსებითი როგორც სტრუქტურული, ასევე შინაარსობრივი ხასიათის ცვლილებები: სახელწოდება, პროგრამის მიზანი, პროგრამის სწავლის შედეგები და სტრუქტურა (სასწავლო გეგმა), შემუშავდა/განახლდა სასწავლო კურსების სილაბუსები და ა.შ.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „პროფესიული და უწყვეტი განათლება“ **მიზანია** მოამზადოს განათლების მეცნიერების მაგისტრი, რომელსაც:

- *,,აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა განათლების სისტემებში, განათლების თეორიებში, განათლების პოლიტიკაში, პროფესიული და უწყვეტი განათლების სპეციფიკასა და პროფესიული განათლების ხარისხის მართვაში;*
- *შესწევს უნარი ეფექტიანად გაუმკლავდეს ლოკალურ და საერთაშორისო ასპექტში პროფესიული განათლებისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის გამოწვევებს, კვლევისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე შეიმუშავოს ინოვაციური მიდგომები და გაითვალისწინოს დარგის სპეციფიკა;*
- *აანალიზებს საკუთარი და გუნდის წევრების პროფესიული განვითარების საჭიროებებს, გეგმავს და ახორციელებს უწყვეტი პროფესიული განვითარებისაკენ მიმართულ ღონისძიებებს. ''*

პროგრამის მიზნები ეფუძნება სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასა და მიზნებს, სტრატეგიული განვითარების გეგმას, ფაკულტეტის დებულებას, პროფესიული განათლების სფეროს სპეციფიკას, შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და დამსაქმებლის მოსაზრებებს/რეკომენდაციებს.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის მომენტისთვის, პროგრამაზე ირიცხება 10 სტუდენტი, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის (აკადემიური, მოწვეული, სამეცნიერო) რაოდენობა კი ჯამში შეადგენს 24-ს;

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 19 ოქტომბრის ბრძანების #1324970 შესაბამისად, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2022 წლის 27 ოქტომბერს განხორციელდა ვიზიტი სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქ. ბათუმში „პროფესიული და უწყვეტი განათლების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით;

ვიზიტი წარიმართა აკადემიურ გარემოში, შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით განხორციელდა დაგეგმილი ყველა შეხვედრა; კერძოდ ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, (რექტორის მოადგილე, დეკანი, ხარისხის სამსახურის უფროსი), ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებსა და დამსაქმებლებს. გადამოწმდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და გამოთხოვილ იქნა დამატებითი დოკუმენტაცია, რომელთა მოწოდებაც დაწესებულებამ დროულად უზრუნველყო; ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას გააცნო პროგრამის შესახებ ადგილზე ვიზიტის ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მოსაზრებები/მიგნებები;

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები შესაბამისობაშია სტანდარტებთან.

- **რეკომენდაციები**

სტანდარტი 2

- რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების პროცედურების მეტი გამჭვირვალობისთვის გადაიხედოს სპეციალობაში შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ინსტრუქცია;

- რეკომენდებულია, პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებულ იქნას და დაიგეგმოს პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად;
- გაძლიერდეს წახალისების ის მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც უზრუნველყოფილი იქნება სტუდენტების კვლევით აქტივობებში მაქსიმალურ ჩართულობა;

- შეფასების ობიექტურობის, სანდოობის, გამჭვირვალობისა და სწავლის შედეგების მიღწევის გაზომვის მიზნით, რეკომენდებულია, ჩამოყალიბებულ იქნას სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებული მკაფიო კრიტერიუმები და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ იქნას შეფასების რუბრიკები/სქემები ყველა სასწავლო კურსისთვის;

სტანდარტი 3

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა პროგრამის ფარგლებში გააგრძელოს მუშაობა საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების მიმართულებით და გამოიყენოს არსებული საერთაშორისო კავშირები სტუდენტთა გაცვლით პროგრამებსა და საერთაშორისო აქტივობებში ჩასართავად.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- გატარდეს ღონისძიებები, რომ უზრუნველყოფილი იყოს ინფორმაციის დროული მიწოდება/შეგროვება ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით შესაბამისი სამუშაოების დროულად ჩასატარებლად.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**[5]

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 2022 წლის 22 ნოემბრის წერილით №1493199 წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტთან დაკავშირებით; არგუმენტირებული პოზიციის თანახმად, დაწესებულება სრულად იზიარებს და ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ ყველა რეკომენდაციას;

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა **„პროფესიული და უწყვეტი განათლება“** **შეესაბამება** ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით კვალიფიკაციის მე-7 დონეს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით (განათლების მეცნიერებები)-0111, პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით მისანიჭებელი კვალიფიკაცია - განათლების მეცნიერების მაგისტრი (Master of Educational Science). აღნიშნული პროგრამა წარმოადგენს აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 30 დეკემბრის #1243300 გადაწყვეტილებით პირობითი აკრედიტაციით განხორციელებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის **„პროფესიული განათლება და ადამიანური რესურსების განვითარება“** შემდგომ, მოდიფიცირებულ ვერსიას. წარმოდგენილი პროგრამის მოდიფიცირება განხორციელდა ,,ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლა-სიფიკატორის“ საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების, ადგილობრივი და საერ-თა-შორისო პრაქ-ტიკის, სტუდენტთა და დამსაქმებელთა მოსაზრებების გათვალისწინებით. კერძოდ, მოქმედმა პროგრამამ განიცადა გარკვეული სტრუქტურული და შინაარსობრივი ცვლილებები: პროგრამას ნაწილობრივ შეეცვალა სახელწოდება, ასევე რეკომენდაციის საფუძველზე გადამუშავდა პროგრამის მიზანი, პროგრამის სწავლის შედეგები და სტრუქტურა (სასწავლო გეგმა), შემუშავდა/განახლდა სასწავლო კურსების სილაბუსები. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ეფუძნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერ-სიტე-ტის მისიას, სტრატეგიულ გეგმას, პროფესიული განათლების სფეროს სპეციფიკას, შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამის მიზნები, პროგრამის პირველ ვერსიასთან შედარებით წარმოდგენილია გადამუშავებული ფორმით, ითვალისწინებს ექპერტთა რეკომენდაციებს, უფრო კონკრეტული და კვალიფიკაციას მიემართება. პროგრამის მიზანია მოამზადოს განათლების მეცნიერებების მაგისტრი, რომელსაც:

- აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა განათლების სისტემებში, განათლების თეორიებში, განათლების პოლიტიკაში, პროფესიული და უწყვეტი განათლების სპეციფიკასა და პროფესიული განათლების ხარისხის მართვაში;
- შესწევს უნარი ეფექტიანად გაუმკლავდეს ლოკალურ და საერთაშორისო ასპექტში პროფესიული განათლებისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის გამოწვევებს, კვლევისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე შეიმუშავოს ინოვაციური მიდგომები და გაითვალისწინოს დარგის სპეციფიკა;
- აანალიზებს საკუთარი და გუნდის წევრების პროფესიული განვითარების საჭიროებებს, გეგმავს და ახორციელებს უწყვეტი პროფესიული განვითარებისაკენ მიმართულ ღონისძიებებს.

პროგრამა ითვალისწინებს შრომის ბაზრის და დაინტერესებული მხარეების კვლევის შედეგებს და უზრუნველყოფს პროგრამის განვითარებას. ექსპერტთა ჯგუფის დამსაქმებლებთან გასაუბრების ეტაპზე გამოიკვეთა აჭარაში, პროფესიული და ზოგადად განათლების მიმართულებით კვლევითი პოტენციალის გაზრდის ხელშეწყობის ტენდენცია და კვლევაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო სერვისების შეთავაზება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა (პროგრამის მიზანი);
- ბსუ-ს მისია
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 28 ივნისის №40 დადგენილება „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიისა და 2018-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ“;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზი;
- ინტერვიუირება დამსაქმებლებთან;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი;

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამა მოცემულ სტანდარტის კომპონენტთან **შესაბამისობაშია**. პროგრამის სწავლის შედეგები გაუმჯობესდა ექპერტთა და აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინებით, განხორციელდა კონკრეტული სასწავლო კურსების სწავლის შედეგებში ცვლილება, რომელიც უკავშირდება პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგებთან დაკავშირებულ მიდგომებს. პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების მიღწევას. კერძოდ, პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, პროგრამაში ფიქსირებულია, რომ სტუდენტები მიიღებენ სიღრმისეულ და სისტემურ ცოდნას:

ცოდნა და გაცნობიერება

- ახდენს ღრმა და სისტემური ცოდნის დემონსტრირებას განათლების სისტემებში, განათლების თეორიებში, განათლების პოლიტიკაში, კვლევის მეთოდებში, პროფესიული და უწყვეტი განათლების სპეციფიკასა და ხარისხის მართვაში;
- ახდენს პროფესიული და უწყვეტი განათლების განვითარების ტენდენციებისა და დარგში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებას, ლოკალურ და საერთაშორისო დონეზე პროფესიული განათლების მიზნების, ამოცანებისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით;
- განსაზღვრავს პროცესის შეფასებისა და კვლევის საჭიროებებს პროფესიული და უწყვეტი განათლების ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობისთვის;
- აანალიზებს პროფესიული განათლების პედაგოგიკის პრინციპებს, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას და მნიშვნელობას პროფესიულ და უწყვეტ განათლებაში, ინკლუზიური და უსაფრთხო სასწავლო გარემოს ორგანიზების საჭიროებებს.

უნარი

- განათლების კონცეფციის, თეორიებისა და პოლიტიკის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით აფასებს პროფესიულ საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე პროცესებს, აკეთებს დასკვნებს და ამზადებს რეკომენდაციებს;
- არგუმენტირებულად მსჯელობს პროფესიულ და უწყვეტ განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე როგორც წერილობით, ისე ზეპირად. წარმოაჩენს და ასაბუთებს შესაბამისი თეორიული პერსპექტივების საფუძველზე არჩეულ პოზიციას;
- აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევას, ახდენს ემპირიული და თეორიული მონაცემების დამუშავებას, ანალიზს, სინთეზსა და შეფასებას. საკუთარ დასკვნებს, არგუმენტებსა და კვლევის შედეგებს წარუდგენს როგორც აკადემიურ, ასევე პროფესიულ საზოგადოებას.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- ახდენს კომპლექსური, არაპროგნოზირებადი სასწავლო/სამუშაო გარემოს მართვას და ადაპტირებას ინოვაციური მიდგომების გამოყენებით;
- იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე, გეგმავს და ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს.

პროგრამაში ცვლილებების განხორციელება დაწესებულებაში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ დაიგეგმა და განხორციელდა. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა არ შეცვლილა, პროგრამის პირველი ვერსიის შექმნისთვის რექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და არსებობს დღემდე. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული სწავლის შედეგების რუკა ასახავს რომელი სასწავლო კურსით, აქტივობითა თუ კვლევითი კომპონენტით ვითარდება სტუდენტებში პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგი. პროგრამა ითვალისწინებს როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით სასწავლო კურსებს, სწავლის შედეგები ასევე აღწერილია სწავლის შედეგების რუქაზე. დაწესებულების აკადემიურ პერსონალთან და დამსაქმებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სამუშაო ჯგუფთან ერთად ისინი ჩართული იყვნენ სწავლის შედეგების ფორმულირების და ჩამოყალიბების ეტაპზეც, გარდა ადგილობრივი ექპერტებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობისა, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ფორმირების ეტაპზე ჩართული იყვნენ უცხოელი ექსპერტები, მათთან თანამშრომლობა პროგრამის დაგეგმვის და განხორციელების ეტაპზე გააჩნია უნივერსიტეტს. პროგრამის ახალ რედაქციაში წარმოდგენილი სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან, ასევე აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც მიიღებენ სტუდენტები პროგრამის დასრულებისას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნის/კვლევის ანალიზი;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიურირება აკადემიურ პერსონალთან და დაინტერესებულ მხარეებთან;

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☒	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამა მოცემულ სტანდარტის კომპონენტთან **შესაბამისობაშია**. დაწესებულების აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 ივლისის №06-01/54 დადგენილებით დამტკიცებულია საგანმანათლებო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესი, რომელიც გულისხმობს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებს. დაწესებულების მიერ მიმდინარე პროგრამის შეფასება განხორციელდა სპეციალურად შექმნილი ელექტრონული პორტალის საშუალებით (http://spm.bsu.edu.ge/ ასევე https://portal.bsu.edu.ge). პროგრამის შეფასება ხორციელდება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით. შეფასების გეგმა ემყარება სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს, სამიზნე ნიშნულების, მონაცემების შეგროვების, ანალიზს და გარკვეულ პერიოდულობას. სწავლის შედეგების შეფასებას პროგრამით დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან მიმართებით, შეფასების შედეგებს და მონაცემების გაანალიზებას ახორციელებს განათლების დეპარტამენტი ბსუ -ს ადმინისტრაციული რესურსის დახმარებით. ასევე ადმინისტრაციის დახმარებით, ხორციელდება სალექციო და პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრება. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით ურთიერთდასწრების მიზანს წარმოადგენს სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლებისა და შეფასების მეთოდების რელევანტურად გამოყენების შეფასება სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში. გარდა აღნიშნული მექანიზმებისა, დაწესებულება ასევე იყენებს სტუდენტთა მიერ სასწავლო კურსების განხორციელების შეფასებას და კმაყოფილების კვლევას. სტუდენტებთან ინტერვიუიერების შედეგად დადგინდა რომ ისინი აქტიურად არიან ჩართული ამ პროცესში და აქვთ შესაძლებლობა ღიად დააფიქსირონ სასწავლო კურსების განხორციელებისას დაფიქსირებული ხარვეზები და შეუსაბამობები.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, ფაკულტეტის დეკანთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა საუნივერსიტეტო სისტემის შესაბამისად ხორციელდება როგორც ყველა, ასევე აღნიშნულ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება. ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად ხორციელდება ყველა ეტაპი და დაწესებულება პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის იყენებს სწორედ აღნიშნული მექანიზმების მოქმედების შედეგებს, ადგენს პროგრამის სუსტ და ძლიერ მხარეებს, ხელს უწყობს სუსტი მხარეების აღმოფხვრას და გაუმჯობესებას. საკმაოდ შთამბეჭდავი იყო ელექტრონული სტუდენტური პორტალის შესაძლებლობების დემონსტრირება და ამ მონაცემების გათვალისწინება როგორც პროგრამის შეფასებისთვის ასევე მისი გაუმჯობესების გზების დასადგენად, სტუდენტური პორტალი იძლევა სტატისტიკურად სანდო მონაცემების დამუშავების შესაძლებლობას და ხარისხის შიდა მექანიზმებთან შესაბამისობის დადგენას. ელექტრონული პორტალის საშუალებით ასევე ეფექტურად ხორციელდება დასწრება, სპეციალური მართვის ინსტრუმენტის დახმარებით, საიდანაც დგინდება როგორ არის აკადემიური პერსონალი ინფორმირებული დასწრებასთან დაკავშირებით, ამავე დასწრების ველში ინტეგრირებულია დაკვირვების კრიტერიუმები და ასევე უკუკავშირის ფუნქციაც. საბოლოო შეფასებისას პროგრამის ხელმძღვანელი აგროვებს მონაცემებს, აღნიშნული შეფასებების შედეგების ანალიზს განიხილავს პერსონალთან ერთად და ერთობლივად დგინდება გაუმჯობესების აქტივობების გეგმა, საჭიროების შემთხვევაში ლიტერატურის განახლება, სასწავლო კურსების სასწავლო გეგმაში გადანაცვლება და სხვა. ამ პროცესის მტკიცებულებად სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა რომ განხორციელდა პროგრამაში ცვლილება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;

- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 ივლისის №06-01/54 დადგენილება „ბსუ-ს საგანმანათლებო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვი-თარების წესი“ს დამტკიცების შესახებ;
- აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუირების შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☒	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამა მოცემულ სტანდარტის კომპონენტთან **შესაბამისობაშია**.

სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამის მოცულობაა 120 კრედიტი, მათ შორის 75 კრედიტი ეთმობა სავალდებულო სასწავლო კურსებს, სასწავლო კურსებში ჩაშენებული პროფესიული პრაქტიკის მოცულობა 6 კრედიტია, სტუდენტთა ინტერესების შესაბამისად 15 კრედიტის ფარგლებში მათ აქვთ თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა მათთვის საინტერესო არჩევითი კურსის სახით გაიარონ სასწავლო კურსი. სამეცნიერო კვლევითი კომპონენტისთვის სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს 30 კრედიტს, რაც სამაგისტრო ნაშრომის დაცვით სრულდება. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული კომპონენტი ისეა აგებული, რომ მისი მოცულობა, სწავლების მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსების სილაბუსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. განახლებული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ისეთ სასწავლო კურსებს, როგორიცაა:

- „განათლების სოციოლოგია“,
- „განათლების ფსიქოლოგია“,
- „განათლების სისტემები და საკანონმდებლო უზრუნველყოფა“,
- „ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა პროფესიულ განათლებაში“,
- „პროფესიული განათლების პედაგოგიკა“,
- „ინკლუზიური პროფესიული განათლება“,
- „პროფესიული განათლების პრინციპები“,
- „საგანმანათლებლო პროგრამები პროფესიული და უწყვეტი განათლების სისტემაში“,
- „კვლევის მეთოდები განათლებაში 1“
- „კვლევის მეთოდები განათლებაში 2“,
- „ზრდასრულთა უწყვეტი განათლება“,
- „პროექტის მართვა განათლებაში“,
- „აკადემიური წერა მაგისტრანტთათვის“.

სასწავლო კურსების წყობა ლოგიკური და თანმიმდევრულია, პროგრამის სტრუქტურა მაქსიმალურად ითვალისწინებს სასწავლო კურსებს შორის ლოგიკურ კავშირს და სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობებს, კერძოდ, პროგრამა ისეა აწყობილი, რომ: სასწავლო კურსები „პროფესიული განათლების პრინციპები“, „პროფესიული განათლების პედაგოგიკა“, „ხარისხის უზრუნველყოფის სისტემები პროფესიულ განათლებაში“ წარმოადგენს სასწავლო კურსის „საგანმანათლებლო პროგრამები პროფესიული და უწყვეტი განათლების სისტემაში“ წინაპირობას, „განათლების ფსიქოლოგია“ – „პროფესიული განათლების პედაგოგიკის“ წინაპირობას, „აკადემიური წერა მაგისტრანტთათვის“ – „კვლევის მეთოდები განათლებაში 1“ წინაპირობას. „პროფესიული პრაქტიკის“ წინაპირობას წარმოადგენს სასწავლო გეგმით პირველ და მეორე სემესტრში გათვალისწინებული კურსები და ა. შ. პროგრამაში სასწავლო კურსები ისეა განაწილებული, რომ სტუდენტს კვლევითი კომპონენტის შესრულებამდე ათვისებული უნდა ჰქონდეს როგორც საბაზისო, ასევე კვლევის ჩატარებისა და კვლევითი ნაშრომის შესრულების უნარის გამომუშავებაზე ორიენტირებული სასწავლო კურსები. აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუირებით დადგინდა ამ სასწავლო კურსის განხორციელების მიდგომა, კვლევის მეთოდებს ეძღვნება 2 სასწავლო კურსი, მ.შ. კვლევის მეთოდები 1 არის ძირითადად თეორიული ხასიათის, ხოლო კვლევის მეთოდები 2 არის უფრო პრაქტიკულად კვლევასთან დაკავშირებული საკითხებზე ორიენტირებული, რაც სტუდენტს რეალურად დაეხმარება სამაგისტრო ნაშრომის აგებასა და დიზაინის შესრულებაში. სასწავლო კომპონენტის გარდა, პროგრამა ითვალისწინებს პროფესიულ პრაქტიკას. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტი წარმოდგენილია როგორც დამოუკიდებელი კურსის სახით (პროფესიული პრაქტიკა - 6 კრედიტი), ასევე ინტეგრირებულია (ჩაშენებულია) ცალკეულ სასწავლო კურსებში. სასწავლო კურსებში ჩაშენებული პრაქტიკა ფოკუსირებულია იმ თემატიკაზე, რომელსაც ითვალისწინებს შესაბამისი სასწავლო კურსის შინაარსი. პროფესიული პრაქტიკის კომპონენტი ხელს უწყობს პროფესიულ და უწყვეტ განათლებასთან დაკავშირებული თეორიული ცოდნის შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. სტუდენტებთან ინტერვიუირების შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი მუდმივად ჩართულნი არიან ბსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრის საქმიანობაში და პრაქტიკულად შიგნიდან ეცნობიან პროფესიული კუთხით პროგრამების დაგეგმვის, მართვის, შეფასებასთან დაკავშირებულ პროცესებს. სტუდენტების მოსაზრებით საკმაოდ საინტერესოა ჩაშენებული პრაქტიკის ფორმატი. პროგრამაში 12 კრედიტი ეთმობა არჩევით სასწავლო კურსებს. სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი არჩევითი კურსებისთვის გათვალისწინებული კურსებიდან. არჩევითი კურსების ჩამონათვალი მრავალფეროვანია:

- „ორგანიზაციული ქცევა“,
- „ადამიანური რესურსების განვითარება“,
- „ინტერკულტურული განათლება“,
- „საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენება სწავლასა და სწავლებაში“
- „განათლების ფილოსოფია და მეთოდოლოგია“,
- „ინგლისური ენა C1.1“ და „ინგლისური ენა C1.2“ .

აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით და ექპერტთა რეკომენდაციით იყო მითითებული ინგლისური ენი შესაბამისი დონე, ევროპული ენების ჩარჩოს შესაბამისად, რაც უკავშირდება პროგრამასა და სასწავლო კურსების სილაბუსებში, მითითებულ უცხოენოვანი ლიტერატურის სტუდენტის მიერ გამოყენების შესაძლებლობას. პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მიღებული თეორიული და პრაქტიკული კურსების შესწავლის შედეგად დამოუკიდებლად ჩაატარონ კვლევა.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მინიჭებული კვალიფიკაცია - განათლების მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხი შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან რაც კურსდამთავრებულს აძლევს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საჯარო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებში, პროფესიული განათლების მიმწოდებელ კომპანიებში, უწყვეტი განათლების ცენტრებში, პროფესიული განათლებით დაინტერესებულ/ჩართულ სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობის უფლებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 ივლისის №06-01/54 დადგენილება „ბსუ-ს საგანმანათლებო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვი-თარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუირება სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამა მოცემულ სტანდარტის კომპონენტთან **შესაბამისობაშია**.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები თანხვედრაშია სასწავლო კურსის სწავლის შედეგებთან, რომელსაც განსაზღვრავს სასწავლო კურსის მიზანი და შინაარსი.

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები ისეა აგებული, რომ მათი მიზანი, სწავლის შედეგი და სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგების მიღწევას. ძირითადი სასწავლო კურსები გამომდინარეობს ერთმანეთისაგან, შინაარსობრივად თანმიმდევრულია და ორიენტირებულია სწავლების შესაბამისი საფეხურის კომპეტენციებისა და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის გამომუშავებაზე. სამუშაო ჯგუფთან ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ მათ მიერ მოხდა თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევის მექანიზმის განხილვა, დაზუსტდა სასწავლო კურსის შინაარსის შესაბამისობა სწავლის შედეგებთან და მოხდა მისადაგება სწავლების და შეფასების მეთოდებთან, რომლითაც სასწავლო კურსის ფარგლებში იზომება კონკრეტულ შედეგზე გასვლა. პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ მოხდა მიღებული რეკომენდაციების მიხედვით სილაბუსებში ცვლილებების შეტანა და პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

საგანმანათლებლო პროგრამაში ძირითადად 3 და 6-კრედიტიანი სასწავლო კურსებია, რომელთა განაწილებაც მოხდა სასწავლო კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით. სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის მონაწილეობით განისაზღვრა თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები და კრედიტების მოცულობა.

სამუშაო ჯგუფის მიერ პერსონალთან ერთად მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა სწავლების მეთოდების შერჩევის დროსაც. მეთოდების შერჩევის დროს გათვალისწინებული იქნა როგორც სასწავლო კურსის სპეციფიკა და შინაარსი, ასევე მისაღწევი შედეგები. სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევის კონკრეტული გზები და შეფასების კრიტერიუმები ასახულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. სამუშაო ჯგუფმა სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის მონაწილეობით და კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით განსაზღვრა სასწავლო კურსის ფორმატი (ლექცია, ჯგუფში მუშაობა და ა. შ.), ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა. ასევე ლიტერატურის შერჩევა მოხდა დარგის სიახლეების გათვალისწინებით.

სტუდენტებისთვის თითოეული სასწავლო კურსისთვის შემუშავებულია საკითხავი ლიტერატურა, ასევე GIZ დახმარებით განხორციელდა ლიტერატურის თარგმნა. საკითხავი მასალები განთავსებულია ელექტრონულ პორტალზე, რაც გასაუბრების ეტაპზე იქნა წარმოდგენილი სასწავლო დეპარტამენტის წარმომადგენლის მიერ. (http://spm.bsu.edu.ge/ ასევე https://portal.bsu.edu.ge). სასწავლო ლიტერატურა ბსუ-ს ბიბლიოთეკაში არის ხელმისაწვდომი სტუდენტებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა (სწავლის შედეგების რუკა);
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პორტალი სტუდენტებისთვის http://spm.bsu.edu.ge/ ასევე https://portal.bsu.edu.ge.
- სასწავლო და საკითხავი მასალა;
- ინტერვიურება სტუდენტებთან;

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბსუ-ს მიერ განსაზღვრულია ,,პროფესიული და უწყვეტი განათლების'' სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობა და ის შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან; პროგრამაზე მიღების წინაპირობები გაწერილია როგორც პროგრამაში, ასევე ,,ბსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესში''; კერძოდ, სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებს, რომლებმაც ჩააბარეს საერთო სამაგისტრო გამოცდა და ასევე, შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები; უნდა აღინიშნოს, რომ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები ითვალისწინებს გამოცდას ინგლისურ ენაში (B2 დონეზე ცოდნის შემოწმება) და სპეციალობაში; უსდ-ს აღნიშნულ პროგრამაზე მიღების წინაპირობად განსაზღვრული ჰქონდა B1 დონეზე ინგლისური ენის ცოდნა, ხოლო, წინა შეფასების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ იქნა რეკომენდაცია ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის წინაპირობად განსაზღვრა, რაც ბსუ-ს მიერ გათვალისწინებულ და ასახულ იქნა პროგრამაში; სტუდენტებთან ინტერვიუმ აჩვენა, 2021-2022 სასწავლო წელს პროგრამაზე მიღება შიდა საუნივერსიტეტო სპეციალობისა და ინგლისური ენის (B1 დონე) ზეპირი გამოცდების საფუძველზე მოხდა; მომდევნო სასწავლო წლისთვის (2023-2024) დაწესებულებას უკვე შემუშავებული აქვს B2 დონის ინგლისური ენის ტესტის ნიმუშიც (რაც ექსპერტთა ვიზიტის დროს დამატებით მტკიცებულებად იქნა წარმოდგენილი) და გამოცდების ჩატარებას გეგმავს ამ ეტაპზე მოქმედი წესის შესაბამისად; აქვე აღსანიშნია, რომ დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამაზე მიღების წინაპირობები ვებგვერდზე ჯერ არ განუახლებია (https://bsu.edu.ge/sub-29/program/3/index.html);

ბსუ-ს შემუშავებული აქვს ,,პროფესიული და უწყვეტი განათლების პროგრამაზე'' მისაღები შიდა საუნივერსიტეტო სპეციალობის გამოცდის მინიმალური მოთხოვნები/ინსტრუქცია, რომელიც გამოქვეყნებულია ვებგვერდზე (https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_15383_3.pdf); სპეციალობის გამოცდა ითვალისწინებს საგნობრივ ცოდნას პროფესიული განათლების აქტუალური საკითხების შესახებ და აფასებს მაგისტრანტობის კანდიდატის სხვადასხვა უნარებს (არგუმენტირებული მსჯელობა, კრიტიკული ანალიზი და ა.შ.), რაც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად; განსაზღვრულია გამოცდის ფორმატი (წერითი), მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულა), შეფასების კრიტერიუმები და სქემა, თუმცა ფიქსირდება გარკვეული შეუსაბამობები (მაგალითად, წერითი დავალება თემაზე ,,პროფესიული განათლების გამოწვევები და პერსპექტივები საქართველოში" განსაზღვრულია რომ ფასდება მაქსიმუმ 40 ქულით, ხოლო შეფასების კრიტერიუმები გაწერილია 50 ქულით), ასევე სპეციალობის გამოცდა მოიცავს საგნობრივი ცოდნის შესამოწმებელ ღია კითხვებსაც და უსდ-ს ინსტრუქციაში წარმოდგენილი აქვს ლიტერატურის ნუსხა;

აღსანიშნია, რომ პროგრამაზე ჩარიცხვის პირობები ითვალისწინებს შიდა ან/და გარე მობილობას და ასევე, დასაშვებია მიღება უცხო ქვეყნის მოქალაქეებისაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტიც, რომ უსდ პროგრამაზე მიღების პროცედურების შესახებ ინფორმაციის საჯაროობას უზრუნველყოფს არა მხოლოდ ვებგვერდის საშუალებით, არამედ აქტიურად მართავს ღია კარის დღეებსაც

ბსუ-ს განსაზღვრული აქვს პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა მაქსიმალური კონტიგენტი: არაუმეტეს 30 სტუდენტი, რაც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, დაწესებულების რესურსებს

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს აკა-დე-მიური საბ-ჭოს 2017 წლის 7 ივლისის №59 დადგენილება „ბსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესის შესახებ";
- საგანმანათლებლო პროგრამა (დაშვების წინაპირობა);

- ბსუ-ს ვებგვერდი
- მისაღები გამოცდის საკითხები სპეციალობაში: https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_15383_3.pdf
- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი 1241176 (30.12.2020)
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების პროცედურების მეტი გამჭვირვალობისთვის გადაიხედოს სპეციალობაში შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ინსტრუქცია

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☐	☒	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბსუ-ს პროგრამა სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების გამომუშავებას; კერძოდ, პროგრამა ითვალისწინებს 6-კრედიტიან ,,პროფესიულ პრაქტიკას'' და ასევე, სასწავლო კურსებში (,,საგანმანათლებლო პროგრამები პროფესიული და უწყვეტი განათლების სისტემაში'', ,,პროფესიული განათლების პედაგოგიკა'', ,,კომპანიის ინსტრუქტორის საქმიანობა'') ინტეგრირებულია (ჩაშენებულია) პრაქტიკის კომპონენტი. პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ ჩაშენებული პრაქტიკის ფარგლებში ფოკუსირება ხდება იმ თემატიკაზე, რომელსაც ითვალისწინებს შესაბამისი სასწავლო კურსის შინაარსი; აღსანიშნავია, რომ ,,პროფესიული პრაქტიკის'' სილაბუსში გაწერილი სწავლის შედეგების და თემატიკის მიხედვით, აქცენტი გაკეთებულია პროფესიულ საგანმანათლებლო სივრცეზე და ნაკლებად უწყვეტ განათლებაზე; თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სტუდენტებთან ინტერვიუმ დაადასტურა, რომ ისინი პროფესიულ პრაქტიკას გადიან ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრში; ამასთანავე, პროფესიული პრაქტიკის ფარგლებში სტუდენტი პრაქტიკის ობიექტზე დაჰყოფს 45 საათი (დანარჩენი 105 საათი ეთმობა მზადებას რეფლექსიისთვის, საშინაო დავალების წარდგენისთვის, პორტფოლიოს წარდგენისთვის); მართალია, ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ პროფესიული პრაქტიკის ფარგლებში საკონტაქტო 45 საათით არ იზღუდებიან სტუდენტები და სურვილის/საჭიროების შემთხვევაში, მათ

შეუძლიათ პრაქტიკის ობიექტზე დაჰყონ მეტი დრო, მაგრამ მნიშვნელოვანია საჭიროების შეფასება და შესაბამისად ასახვა სილაბუსში; ამდენად, აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია პრაქტიკის კომპონენტის პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად დაგეგმვა და ორგანიზება;

ინტერვიუებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ პრაქტიკის გავლის პერიოდში სტუდენტს ხელმძღვანელობს სფეროს კვალიფიციური პირი;

ასევე, პრაქტიკის ობიექტებთან, დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების/მემორანდუმების შესწავლის შედეგად დასტურდება, რომ აღნიშნული ხელშეკრულებები ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, პრაქტიკის მიზანს, შედეგსა და ხანგრძლივობას;

სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიუთი დგინდება, რომ სტუდენტებს ხშირად სთავაზობენ სხვადასხვა კონფერენციაში, კვლევით აქტივობებში ჩართვას, თუმცა სტუდენტების მხრიდან აღნიშნულ აქტივობებში ჩართულობა ჯერ არ დასტურდება;

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები სტუდენტებს უვითარებს სამეცნიერო-კვლევით და ტრანსფერულ უნარებს; კერძოდ, სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებულია ისეთი მეთოდები, როგორიცაა პროექტი, სიტუაციური ამოცანა/ქეისი/შემთხვევის ანალიზი, პრეზენტაცია, დისკუსია/დებატები, რეფლექსია, პორტფოლიო და ა.შ.

პროგრამა ასევე ითვალისწინებს ისეთ სავალდებულო სასწავლო კურსებს, როგორიცაა: ,,კვლევის მეთოდები განათლებაში 1'' და ,,კვლევის მეთოდები განათლებაში 2''; აღნიშნული კურსები ორიენტირებულია განათლების სფეროში კვლევის დაგეგმვის, განხორციელების, მონაცემებისა და ინფორმაციის გაანალიზების, კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების დამუშავებისა და წარდგენისთვის საჭირო კომპეტენციებისა და უნარების გამომუშავებაზე;

პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტია სამაგისტრო ნაშრომი, 30 კრედიტის ფარგლებში. პროგრამის დასრულების ეტაპზე (სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია სწავლების მეორე წლის ბოლოს, IV სემესტრი) სტუდენტი ვალდებულია განახორციელოს სამაგისტრო კვლევა იმისთვის, რომ მოიპოვოს მაგისტრის აკადემიური ხარისხი; სამაგისტრო ნაშრომის განხორციელებისთვის პროგრამაში წარმოდგენილია სილაბუსი, რომლითაც განსაზღვრულია კვლევით კომპონენტის შესრულების გეგმა, ნაშრომის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, ნაშრომის გაფორმების ტექნიკური მონაცემები; ასევე, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესით განსაზღვრულია სამაგისტრო ნაშრომის დაგეგმვის, მომზადებისა და დაცვის პროცედურები (მათ შორის გათვალისწინებულია სამეცნიერო ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები, აპელაციის პროცედურები).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

რეკომენდაციები:

- პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებულ იქნას და დაიგეგმოს პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად;
- გაძლიერდეს წახალისების ის მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც უზრუნველყოფილი იქნება სტუდენტების კვლევით აქტივობებში მაქსიმალურ ჩართულობა;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☐	☒	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შესაბამისობაშია აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურთან, სასწავლო კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან; კერძოდ, პროგრამის მიხედვით, სწავლის შედეგების მიღწევისთვის მაგალითად გამოიყენება ისეთი მეთოდები, როგორიცაა:

- ვერბალური მეთოდები;
- წერითი მუშაობის მეთოდი;
- დემონსტრირების მეთოდი;
- პრაქტიკული მეთოდები.

სწავლება-სწავლის მეთოდი ასევე მოიცავდეს ისეთ აქტივობებს, როგორიცაა დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, პროექტი, სიტუაციის/ამოცანის/შემთხვევების ანალიზი (Case study), როლური თამაშები პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) და სხვა;

გარდა პროგრამით განსაზღვრული სწავლება/სწავლის მეთოდებისა, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია კომბინირებული ან კონკრეტული მეთოდის შერჩევით, სასწავლო კურსების სილაბუსებში სასწავლო კურსის მიზნიდან გამომდინარე, სწავლის შედეგების მიღწევაზე კურსის სილაბუსის ავტორის მიერ შერჩეულია სწავლება/სწავლის მეთოდი. პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ ისინი სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ ისეთ მეთოდებს, რომლებიც მიმართულია სტუდენტთა კრიტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარებაზე (პროექტი, გონებრივი იერიში, შემთხვევის ანალიზი და .ა.შ) და ამასთანავე უზრუნველყოფს მათს ინტერაქციას სასწავლო პროცესში;

ბსუ-ს დამტკიცებული აქვს სსსმ სტუდენტთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შედგენის მექანიზმები, თუმცა ინტერვიუს შედეგებით ჩანს, რომ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებისთვის ისგ-ს შედგენის საჭიროება ჯერ არ ყოფილა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა (სწავლება-სწავლის მეთოდები);
- ბსუ-ს საგანმანათლებო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვი-თარების წესი
- სტუდენტის პორტალი (LMS)
- ინტერვიუს შედეგები
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბსუ-ში შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებისა და ბსუ-ს ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის'' თანახმად, რომელიც განთავსებულია ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის; აღსანიშნავია, რომ ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფისთვის მიწოდებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი'' ჯერ კიდევ არ შეიცავდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 105/ნ ბრძანებით (29.12.2021) დამტკიცებულ იმ ცვლილებებს, რომლებიც შეფასების სისტემასთან დაკავშირებით განხორციელდა (მაგალითად, სტუდენტის შეფასება სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტში) და რომელთან შესაბამისობაში მოყვანის ვალდებულებაც დაწესებულებას ჰქონდა არაუგვიანეს 2022 წლის 1 ოქტომბრისა; ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფს, წარედგინა განახლებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი'', რომლის შესაბამისობაც აღნიშნულ ბრძანებასთან დასტურდება;

ბსუ-ში შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობდეს; სასწავლო კომპონენტის შემთხვევაში შუალედურ შეფასებას ეთმობა 60, ხოლო დასკვნით შე-ფასებას - 40 ქულა. შუალედური შეფასება მოიცავს:

შუალედური გამოცდის შეფასებას (მაქსი-მუმ 20 ქულა) და მიმდინარე შეფასებებს - მაქსიმუმ 40 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციების ზღვრები.

სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდები არის ვალიდური, კერძოდ შერჩეულია სტუდენტის ცოდნის შეფასების ადეკვატური შეფასების ფორმები და მეთოდები; ამასთანავე, როგორც სასწავლო კურსებში, ასევე სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისთვის გათვალისწინებულია/ჩამოყალიბებულია შეფასების კრიტერიუმები; თუმცა მაგალითად, სასწავლო კურსში ,,განათლების სისტემები და საკანონმდებლო უზრუნველყოფა'' გადასახედია როგორც ქულათა გადანაწილება, ასევე კრიტერიუმები, შეფასების სქემა უფრო მკაფიოდ, შეფასების მეთოდის შესაბამისად არის გასწერი (შემთხვევის ანალიზი, დებატები, პრეზენტაცია...); ასევე სასწავლო კურსებში ,,განათლების ფსიქოლოგია'', ,,ინფორმაციული წიგნიერების როლი კვლევასა და სწავლაში'' შუალედური და დასკვნით გამოცდისთვის არ არის წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმები;

რიგი სასწავლო კურსებისთვის კრიტერიუმებზე დაყრდნობით ხშირ შემთხვევაში არ არის შემუშავებული შეფასების სქემა/რუბრიკა (მაგალითად, ,,განათლების სოციოლოგიაში'' დებატებისთვის, ,,განათლების ფსიქოლოგიაში'' შუალედური და დასკვნითი გამოცდის დავალებებისთვის, ..პროფესიული განათლების პრინციპები'', ,,ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა პროფესიულ განათლებაში'', ,,პროფესიული განათლების პედაგოგიკა'', ,,ინკლუზიური პროფესიული განათლება'', ,,პროექტის მართვა განათლებაში'' და ა.შ.**).**

,,პროფესიული და უწყვეტი განათლების'' სამაგისტრო პროგრამა სრულდება სამაგისტრო ნაშრომის დაცვით, რომელიც ფასდება მთლიანობაში, ერთიანად - საჯარო დაცვაზე დასკვნითი შეფასებით, 100-ქულიანი სისტემით და შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან; ნაშრომის დაცვა ეფუძნება კოლეგიალურ შეფასებას კომისიური წესით;

კერძოდ, მოიცავს რეცენზენტის შეფასებას - მაქსიმუმ 40 ქულას და საჯარო დაცვაზე მიღებულ შეფასებას - მაქსიმუმ 60 ქულას. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება შესაბამისი სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმებით, თუმცა შეფასების რუბრიკები არ არის წარმოდგენილი; ნაშრომის შესრულების აკადემიური სტილის მოთხოვნები წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისათვის და გათვალისწინებულია სტუდენტთა ნაშრომების შეფასებისას (კერძოდ, ერთ-ერთი კრიტერიუმი, რომელიც ფასდება 10 ქულით, არის *,,ნაშრომის სტრუქტურა და ენობრივ-სტილისტიკური გამართულობა, მისი აკადემიურ სტანდარტებთან შესაბამისობა, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და კვლევის ეთიკის პრინციპების დაცვა''*); ამასთანავე, სტუდენტს აქვს უფლება სამაგისტრო ნაშრომის შეფასება გაასაჩივროს და გასაჩივრების პროცედურები არის ობიექტური და გამჭვირვალე; ამასთანავე, გასაჩივრების პროცესი ითვალისწინებს შეფასების შედეგების განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებას სხვა შემფასებლ(ებ)ის მიერ *(,,საუპელაციო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს: ა) სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი; ბ) სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტი; გ) სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვის კომისიის წევრი.'')*

სტუდენტებთან ინტერვიუთი ჩანს, რომ ისინი იღებენ მათი პროფესორ-მასწავლებლებისგან შესაბამის უკუკავშირის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ; ამასთანავე, შეფასების შესახებ ინფორმაციას აწვდიან როგორც ლექტორები, ასევე ასახულია სტუდენტის ელექტრონულ პორტალზე, იცნობენ შეფასების გასაჩივრების წესსა და პროცედურებს;

ბსუ-ში დანერგილია პლაგიატის გამოვლენის სპეციალური პროგრამა Turnitin; ასევე, შემუშავებულია „აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესი", რომელიც ითვალისწინებს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის კატეგორიებს და მათზე რეაგირების მექანიზმებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსის სილაბუსები
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- სტუდენტთა გზამკვლევის ბმული https://bsu.edu.ge/main/page/2-269/index.html

- გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია
- აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესი
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები
- ვებგვერდი

რეკომენდაციები:

o შეფასების ობიექტურობის, სანდოობის, გამჭვირვალობისა და სწავლის შედეგების მიღწევის გაზომვის მიზნით, რეკომენდებულია, ჩამოყალიბებულ იქნას სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებული მკაფიო კრიტერიუმები და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ იქნას შეფასების რუბრიკები/სქემები ყველა სასწავლო კურსისთვის;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	☐	☒	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შესაბამისი დოკუმენტების გაცნობის, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, მომიჯნავე სპეციალობის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, მიიღოს ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიურ მიღწევებზე, სწავლის შედეგებსა და კარიერული განვითარების შესაძლებლობებზე.

ფაკულტეტს თვითშეფასების ჯგუფში სტუდენტი ოფიციალურად ჩართული არ ჰყავდა, თუმცა როგორც ადმინისტრაციის წევრებმა და თავად მაგისტრანტებმა ახსენეს, ფაკულტეტი აქტიურად გადიოდა კონსულტაციებს სტუდენტებთან და ასევე, ატარებდა შესაბამის გამოკითხვებს.

სტუდენტებს უნივერსიტეტში ჩარიცხვისას ჰქონდათ საინფორმაციო შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც ისინი შეხვდნენ ფაკულტეტის დეკანს, ადმინისტრაციას, ხარისხის წარმომადგენლებს, რომლებმაც გააცნეს სწავლების ზოგადი სტრუქტურა. სტუდენტთა განცხადებით, ადმინისტრაცია ოპერატიულად ახერხებს მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ხოლო აკადემიური პერსონალი - უკუკავშირის მიცემას. ლექტორთა დატვირთვაში კონსულტაციის საათებიცაა გამოყოფილი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს შეუძლიათ კონკრეტულ საგანში პრობლემის შექმნის შემთხვევაში მიმართონ. მათი თქმით, ლექტორები ყოველთვის მზად არიან დაეხმარონ პრობლემის მოგვარებაში. მაგისტრანტებს საჭიროების შემთხვევაში კვირის ნებისმიერ დროს შეუძლიათ დაუკავშირდნენ ლექტორს. რაიმე პრობლემის შექმნის შემთხვევაში სტუდენტებს შეუძლიათ ელ. პორტალზე https://portal.bsu.edu.ge/ შეავსონ შესაბამისი ფორმა და მონიშნონ ადრესატი.

სტუდენტებს აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესაძლებლობა, ამის შესახებ მათ ინფორმაცია ფაკულტეტმაც მიაწოდა, თუმცა გამოკითხულ სტუდენტებს მისი გამოყენება არ დასჭირვებიათ.

ზოგადი კმაყოფილების დასადგენად, უნივერსიტეტში სტუდენტები ხშირად ავსებენ შესაბამის კითხვარებს, რომელთა შედეგებსაც ფაკულტეტი ითვალისწინებს. აქვთ როგორც სემესტრული, ასევე ყოველკვირეული გამოკითხვები, რომელთა მეშვეობითაც სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ შეაფასონ როგორც სასწავლო კურსები, ასევე ლექტორები. მაგისტრანტები იღებენ უკუკავშირსაც. მაგალითად, როგორც სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგებით ვლინდება, მათი ერთ-ერთი შეფასება შეეხებოდა კონკრეტული საგნის სწავლების მომდევნო სემესტრში გადატანას, რადგან ამ საგნის დასაძლევად საჭირო იყო საბაზისო ცოდნა პროფესიულ განათლებაში. ამიტომ, ადმინისტრაციამ მათი მოთხოვნა დააკმაყოფილა.

უნივერსიტეტი სტუდენტებს დასაქმებაშიც უწყობს ხელს, მათ გამოცხადებული ვაკანსიებისა და სტაჟირებების შესახებ ინფორმაცია მისდით როგორც მეილზე, ასევე ელექტრონულ პორტალზე. გამოკითხულთაგან ერთ-ერთმა მაგისტრანტმა პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრში გაიარა 2 თვიანი სტაჟირება, შემდეგ კი ცენტრშივე დასაქმდა.

პროგრამის ფარგლებში, სტუდენტებს ნაკლებად აქვთ შესაძლებლობა, ისარგებლონ საერთაშორისო მობილობითა და გაცვლითი პროექტებით. გამოკითხულთაგან საერთაშორისო მობილობით არც ერთს არ უსარგებლია. სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის მხრივ, სხვა უსდ-ებთან გაფორმებული ხელშეკრულებები უნივერსიტეტს კონკრეტულად ამ პროგრამის ფარგლებში ჯერჯერობით არ აქვს, ამიტომ უმჯობესი იქნება სტუდენტთა მობილობის სქემაში ჩასართავად უკვე არსებული საერთაშორისო კავშირები და შეთანხმებები გამოიყენონ.
სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, ჩაერთონ სამეცნიერო პროექტებში და კონფერენციებში, ამის შესახებ ინფორმაცია მათ მეილზე და ელ. პორტალზე მისდით. გამოკითხულ სტუდენტთაგან მსგავს აქტივობებში ჩართული არცერთი არ ყოფილა, თუმცა მათივე თქმით, ეს არ იყო გამოწვეული უნივერსიტეტის მხრიდან ინფორმირებულობის ნაკლებობის გამო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხელშეკრულებები/მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მაგდებურგის უნივერსიტეტთან;
- 2021-20222 სასწავლო წლის ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამუშაო განრიგი (საკონსულტაციო საათები)
- სტუდენტთა კარიერული განვითარების დებულება;
- სტაჟიორებად დანიშვნის ბრძანება;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა პროგრამის ფარგლებში გააგრძელოს მუშაობა საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების მიმართულებით და გამოიყენოს არსებული საერთაშორისო კავშირები სტუდენტთა გაცვლით პროგრამებსა და საერთაშორისო აქტივობებში ჩასართავად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო	☐	☒	☐	☐

და მხარდამჭერი სერვისები				

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მაგისტრანტთა ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიება მოხდა თვითშეფასების ანგარიშის, შესაბამისი დოკუმენტებისა და ,,პროფესიული და უწყვეტი განათლების'' სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად.

პროგრამას კურსდამთავრებული ჯერ არ ჰყავს და სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა სტუდენტთა უმრავლესობას ჯერ დაწყებული არ აქვს, თუმცა არჩეული აქვთ საკვლევი თემები და დანიშნული ჰყავთ ხელმძღვანელები.

სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება, რაც ასევე დასტურდება აკადემიური პერსონალის პირადი საქმეებით და მათი კვლევითი ან/და პრაქტიკული საქმიანობით. (აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ იხ. აგრეთვე ექსპერტთა დასკვნა 4.1 სტანდარტისთვის). ხელმძღვანელთა და მაგისტრანტთა თანაფარდობა შეადგენს 2/1. შესაბამისად, პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელთა საკმარისი რაოდენობა. სამაგისტრო ნაშრომის თემის არჩევა მაგისტრანტისა და მისი ხელძღვანელის შეთანხმების საფუძველზე ხდება. ისინი მაგისტრანტებს მაქსიმალურად უთავსებენ გრაფიკს და სტუდენტებს შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში საკონსულტაციო საათების გარდა სხვა დროსაც მიმართონ ხელმძღვანელებს.

ნაშრომები მოწმდება სპეციალურ პლაგიატის პროგრამა Turnitin-ში. ასევე იყენებენ moodle-ის პლატფორმას.

მაგისტრანტები სარგებლობენ უნივერსიტეტის მატერიალური ბაზით, ბიბლიოთეკით და სხვა რესურსებით. საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტებს შესაბამისი მასალით ნაშრომის ხელმძღვანელებიც უზრუნველყოფენ. აქვთ ხელმისაწვდომობა ინგლისურენოვან ლიტერატურაზეც.

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	**20**
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	**10**
თანაფარდობა	**2/1**

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები, პირადი საქმეები;

- სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის განმახორციელებელი რესურსის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. მათ აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია, გამოცდილება და კომპეტენცია საიმისოდ, რომ უზრუნველყონ პროფესიული და უწყვეტი განათლების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა, რაც დასტურდება ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებზე მათ მიერ წარდგენილი მოხსენებებითა და გამოქვეყნებული ნაშრომებით. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის შესახებ ინფორმაცია ჩანს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსებსა და პერსონალის CV-ებში.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური/საათობრივი დატვირთვისა და ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის წესი რეგულირდება აკადემიური საბჭოს დადგენილებით, რომელიც შემდეგ მტკიცდება წარმომადგენლობით საბჭოზე.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „პროფესიული და უწყვეტი განათლება“ განხორციელებაში ჩართული 24 პერსონალიდან 17 ბსუ-სთანაა აფილირებული. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა საკმარისია პროგრამაზე მისაღები კონტიგენტის მომსახურების გასაწევად. ვინაიდან პროგრამას ძირითადად ახორციელებს ბსუ-სთან აფილირებული აკადემიური პერსონალი. აღნიშნული პერსონალი ჩართულია როგორც სტუდენტების კონსულტირებისა და პროგრამის განვითარების პროცესებში, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვა ღონისძიებებში; აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეული პერსონალის რაოდენობასთან წარმოადგენს 24/7. აღნიშნულ რაოდენობაში არ იგულისხმება საჭიროების შემთხვევაში სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის მიზნით მოწვეული პერსონალი.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ბსუ-ს პედაგოგიურ მეცნიერებათა დეპარტამენტის აკადემიური პირია, რომლის კვალიფიკაცია და გამოცდილება აკმაყოფილებს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „პროფესიული და უწყვეტი განათლება“ ხელმძღვანელისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ერთად, ჩართულია სათანადო კომპეტენციისა და კვალიფიკაციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი (დეკანის მოადგილე, დეკანის ოფისის სპეციალისტი, დარგობრივი დეპარტამენტის 2 სპეციალისტი), რომლებიც ფაკულტეტის დეკანს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, პროგრამების ხელმძღვანელებსა და პროფესორ-მასწავლებლებს ეხმარებიან როგორც სასწავლო პროცესის განხორციელებაში, ასევე შუალედური და დასკვნითი გამოცდების ორგანიზებულად ჩატარებაში. მათი ფუნქციები გაწერილია ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დებულებით.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

			დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]	
სულ აკადემიური პერსონალი	**24**	**7**	**7**	**17**
- პროფესორი	3	1	1	3
- ასოცირებული პროფესორი	8	5	5	8
- ასისტენტ-პროფესორი	4	1	1	4
- ასისტენტი	2	0	0	2
მოწვეული პერსონალი	7	0	0	0
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	0

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის №4 გადაწყვეტილება „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების შესახებ“;
- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 ოქტომბრის №4 გადაწყვეტილება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_10852_1.pdf ;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 18 ივლისის №66 დადგენილება ,,ბსუ-ს სამეც-ნი-ერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის დამტკი-ცების შე-სახებ“;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის CV;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისი №06 გადაწყვეტილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთა-ვე-ლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესის თა-ო-ბაზე“;
- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის №03 გადაწყვეტილება „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადე-მიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის“ დამტკიცების შესახებ;
- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №03 გადაწყვეტილება ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“;
- საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის CV;
- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 24 დეკემბრის №07-01/58 გადაწყვეტილება „ბსუ-ს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილება „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“.

რეკომენდაციები:

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას აუცილებელი კონსულტაციე-ბით უზრუნველყოფის მიზნით, სტუდენტს ენიშნება ხელმძღვანელი. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წე-სის“ თანახმად სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ბსუ-ს პროფესორი/ასოცირებული პროფესორი ან დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ასისტენტ პროფესორი/სამეცნიერო თანამდებობის პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია სამაგისტრო ნაშრომის მიმართულებით.

სტუდენტისთვის ხელმძღვანელის გამოყოფის დროს ხდება პერსონალის კვალიფიკაციისა და საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილების გათვალისწინება.

საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის განმახორციელებელი რესურსის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. მათ აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება საიმისოდ, რომ უზრუნველყონ მაგისტრანტების ხელმძღვანელობა და პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „პროფესიული და უწყვეტი განათლება“ განხორციელებაში ჩართული 24 პერსონალიდან 17 ბსუ-სთანაა აფილირებული. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა საკმარისია პროგრამაზე მისაღები კონტიგენტის მომსახურების გასაწევად. საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მოწვევაც.

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომების ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**20**	**7**	**17**
- პროფესორი	3	1	3
- ასოცირებული პროფესორი	8	5	8
- ასისტენტ-პროფესორი	4	1	6
მოწვეული პერსონალი	5	0	0
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილება ,,ბსუ-ს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის CV

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	☒	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.

- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბსუ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის განვითარებასა და ხელშეწყობასთან ერთად, ორიენტირებულია აკადემიური პერსონალის შეფასებასა და განვითარების ხელშეწყობაზე. სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებულია აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასების სრულყოფა და მართვის პროცესში მათი გამოყენების მექანიზმების დახვეწა, რისთვისაც შემუშავებულია ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობისა და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი. იგი ითვალისწინებს პედაგოგიურ, სამეცნიერო და სხვა საუნივერსიტეტო აქტივობებში პერსონალის მონაწილეობის ყოველწლიურ თვითშეფასებასა და შეფასებას. კერძოდ, პროფესორ-მასწავლებლის ჩართულობას საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, სილაბუსების განახლებისა და სრულყოფის, სასწავლო მასალების შემუშავების პროცესში, სასწავლო პროცესის მონიტორინგის, სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის, მათი ინტერვიუირებისა და სხვა აკადემიური აქტივობის შედეგებს; ასევე, სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობას, სამეცნიერო ნაშრომების ხარისხობრივ ანალიზს, სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობას, სამეცნიერო პროექტებში დოქტორანტებისა ან/და მაგისტრანტების ჩართვას, საბაკალავრო, სამაგისტრო ან/და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობას, სამეცნიერო სემინარების მუშაობაში ჩართულობას, სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზებაში მონაწილეობას, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობას და სხვ.

აკადემიური პერსონალის შეფასების შედეგები გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის არჩევის წესში. პროფესორის და ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე კონკურსში მონაწილეობის დროს კანდიდატი სხვა დოკუმენტებთან ერთად წარმოადგენს სამეცნიერო-პედა-გოგიური საქმიანობის პერიოდში სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობის შეფასების დამადასტურებელ დოკუმენტებს, რომლის საფუძველზე საკონკურსო კომისია შეფასების ფორმაში აფიქსირებს დასაბუთებას კონკურსანტის ვაკანსიასთან შესაბამისობის შესახებ.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარისხის ამაღლების მიზნით, ,,ბსუ-ს სამეცნიერო კვლე-ვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/90 დადგენილებით შემუშავებული და განსაზღვრულია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სავალდებულო მოთხოვნები, დადგენილია შეფასების შედეგების ანალიზისა და წახალისების მექანიზმები, რაც გულისხმობს პროფესიული განვითარების მიზნით ბსუ-სთან აფილირებული აკადემიური პერსონალის სხვადასხვა ღონისძიებებში (კონფერენციები, სემინარები, კონგრესი, ფორუმები) მონაწილეობის, Web of Science, Scopus, ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებებით) ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიებისთვის პერსონალის ფინანსურ წახალისებას და ა. შ.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „პროფესიული და უწყვეტი განათლება“ განხორციელებაში ჩართული 24 პერსონალიდან 17 ბსუ-სთან აფილირებული აკადემიური თანამდებობის პირია, რომლებიც სისტემატურად აქვეყნებენ ნაშრომებს ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცემებში, აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში, ტრენინგებსა და პროექტებში, რაც დასტურდება პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის CV-ებით . პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი მონაწილეობს USAID-ის, Erasmus+-ის, Horizon 2020-ის, UNICEF-ის, UNDP-ის საგრანტო პროექტებსა და პროგრამებში, ბსუ-ს მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „პროგრამის „უმაღლესი განათლების“ ქვეპროგრამის „უმაღლესი განათლების ხელშეწყობა“ ფარგლებში დაფინანსებულ პროექტებში.

სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის ტრენინგების ჩატარებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით ხდება უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა მოწვევა. აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობა ხელს უწყობს როგორც პერსონალის პროფესიულ ზრდას, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვას საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ეტაპობრივად გადის სხვადასხვა სახის ტრენინგებს, ასევე თავადაც არიან სსიპ ,,მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის" ტრენერთა სკოლის და სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციის/პროექტის ტრენერები.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „პროფესიული და უწყვეტი განათლება" განხორციელებაში მონაწილე პერსონალი ფლობს საგანმანათლებლო პროგრამით შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რასაც ადასტუ-რებს აკადემიური პერსონალის და მოწვეული მასწავლებლების მიერ გამოქვეყნებული შრომები და საერთაშორისო თუ ადგილობრივ კონფერენციებზე წარდგენილ მოხსენებათა თემატიკა. საუნივერსიტეტო მოთხოვნებიდან გამომდინარე, ბოლო პერიოდში მოიმატა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ საერთაშორისო ბაზებში ინდექსირებულ გამოცემებში გამოქვეყნების მაჩვენებელმა. მიმდინარე წელს ბსუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისთვის მაღალრეიტინგულ გამოცემებში ნაშრომების გამოქვეყნებისთვის დაწესდა ფულადი ჯილდოები, ასევე დაფინანსდა პერსონალის სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა.

პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნავს როგორც აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო პროგრამით „უმაღლესი განათლების ხელშეწყობა", რომლის ფარგლებშიც არაერთი ღონისძიება დაფინანსდა როგორც ზოგადად უნივერსიტეტში, ასევე უშუალოდ პროგრამის განმახორციელებელ ფაკულტეტზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს აკადემიური შესახებ";საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილება „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/95 დადგენილება ,,ბსუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ);
- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის №4 გადაწყვეტილება „ბსუ-ს აკა-დემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების შესახებ";
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/90 დადგენილება ,,ბსუ-ს სამეცნიერო კვლევის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ ბსუ-ს სამეცნიერო კვლევის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ";
- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 20 აპრილის №07-01/21 გადაწყვეტილება „ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიის გამოქვეყნებისათვის წახალისების წესის დამტკიცების თაობაზე";
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „პროფესიული და უწყვეტი განათლება" განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის CV;
- პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ზოგიერთი ღონისძიებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- „უცხოეთში გასამართ ღონისძიებებში მონაწილეობისათვის ბსუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის დაფინანსების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 17 აგვისტოს ბრძანება;
- „უცხოეთში გასამართ ღონისძიებებში მონაწილეობისათვის ბსუ-ს ბიუჯეტიდან დაფინანსების მიმღები ბსუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის გამოვლენისათვის კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 02 სექტემბრის ბრძანება;
- „2021 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სტატიებისათვის ბსუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის წახალისების ღონისძიების გამოყენების თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 30 ივნისის ბრძანება.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	☒	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, ტექნიკური აღჭურვილობა და საბიბლიოთეკო რესურსი როგორც რაოდენობრივად, ასევე ხარისხობრივად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტს აქვს სასწავლო პროცესისათვის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, ინტერნეტ ქსელში ჩართული კომპიუტერული კლასები, სპორტული ბაზები და საკონფერენციო დარბაზები, რომლებიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „პროფესიული და უწყვეტი განათლება“ განსახორციელებლად საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის შეძენა ხდება როგორც უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, ასევე ფაკულტეტზე მოქმედი Erasmus+-ის საგრანტო პროექტების ფარგლებში.

ბსუ-ს ბიბლიოთეკაში განთავსებული სილაბუსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა (https://bsu.edu.ge/sub-15/news/index.html, http://www.bsu.edu.ge/sub-15/page/2-237/index.html) და ელექტრონული რესურსი (https://biblio.bsu.edu.ge/home/index.php, https://lib.bsu.edu.ge/index.php?action=5) უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის

შედეგების მიღწევას. პანდემიის პერიოდში, დისტანციურ სწავლებაზე გადასვლისთანავე მოხდა საბიბლიოთეკო ფონდის გაციფრულება (საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროებების გათვალისწინებით); მოხდა რიდერების გაქართულება.

სასწავლო რესურსებისა და სერვისების შეფასებაზე პასუხისმგებელია მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი, ფაკულტეტები, სამეცნიერო კვლევების სამსახური და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, რომლებიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად შეიმუშავებენ რეკომენდაციებს მათი სრულყოფის მიზნით. ინფორმაციას წარუდგენენ რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის №07 გადაწყვეტილება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების თაობაზე;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბსუ-ში მოქმედი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების-ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით. ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია: შრომის ანაზღაურების, სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად კომპიუტერული ტექნიკის, ინვენტარის, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და კომუნალური დანახარჯები. ფაკულტეტზე მოქმედი საერთაშორისო საგრანტო პროექტების ფარგლებში შეძენილი ტექნიკური აღჭურ-ვი-ლობით მოხდა მატერი-ალურ-ტექნიკური ბაზის ნაწილობრივ შევსება. რაც შეეხება კვლევითი კომპონენტის დაფინანსებას, იგი ფაკულტეტის ხელშეწყობით იფარება.

ინფორმაცია პროგრამის ბიუჯეტის შესახებ მოიცავს ინფორმაციას ყველა გათვალისწინებული ხარჯებისა და შემოსავლების შესახებ. რეკომენდებულია, პროგრამის ბიუჯეტის სხვა ხარჯები მეტად დეტალურად გაწერილი იქნას, რათა დაზუსტდეს ინტერნაციონალიზაციის, პერსონალის განვითარების ღონისძიებების და სხვ. საკითხებთან დაკავშირებული ხარჯების მოცულობა. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ პროგრამის დამატებითი ფინანსური საჭიროებები შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს უნივერსიტეტის სარეზერვო ფონდებით.

წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ჩატარებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით დასტურდება, რომ ადმინისტრაცია დაინტერესებულია პროგრამის მდგრადობით. იგი ფლობს მექანიზმებს, საჭიროების შემთხვევაში პროგრამას ფინანსური დახმარება გაუწიოს უნივერსიტეტის ცენტრალიზებული ბიუჯეტიდან. დასკვნის სახით, პროგრამა ფინანსურად უზრუნველყოფს სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს 2022 წლის ბიუჯეტი;
- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება „ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“;
- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისი №06 გადაწყვეტილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესის თაობაზე“;
- ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 16 სექტემბრის ბრძანება ,,ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის სამაგისტრო საგანმანათლებ-ლო პროგრამის ,,პროფესიული და უწყვეტი განათლება“ ბიუჯეტის (პირველადი ხარჯთაღრიცხვის) დამტკიცების შესახებ“.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება სსიპ- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით და ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკით. ასევე, შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესი, რომელშიც გაწერილია პროგრამის შემუშავების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის (აკადემიური პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი) მონაწილეობა, პროგრამის განხორციელების უწყვეტი მონიტორინგი და განვითარება. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვას, შემუშავებას, ეფექტური განხორციელებისა და განვითარების ხელშეწყობასა და მონიტორინგს კოორდინირებას უწევს როგორც საუნივერსიტეტო, ისე საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები.

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და განვითარებისთვის აკადემიური საბჭოს დადგენილებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. ჯგუფი შედგებოდა საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი 7 აკადემიური პერსონალისგან. მათ შორის ორი პერსონალი ასევე არის პროგრამის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. პროგრამის შემუშავების პროცესში სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყო პროგრამის განვითარებისთვის სხვადასხვა აქტივობების განხორციელება. მოხდა პროგრამის ე.წ. Benchmarking-ი - შედარება სხვა საერთაშორისო უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან. შესწავლილია მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტი, მაგდებურგის უნივერსიტეტი, შვეიცარიის ფედერალური უნივერსიტეტი (ოქმი #1);

შემუშავდა დაინტერესებული პირების (სტუდენტი, დამსაქმებელი) მოსაზრებების შესასწავლად შესაბამისი კითხვარი (ოქმი #2), მის მიხედვით ჩატარდა გამოკითხვები, გაანალიზდა და მიღებული შედეგები გამოყენებულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისთვის მიღებულ გადაწყვეტილებებში. მაგალითად, სტუდენტების მიერ გამოთქმულ იქნა მოსაზრება, რომ პირველ სემესტრში რთული იყო კურსის: ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა პროფესიულ განათლებაში გაგება და უმჯობესი იქნებოდა მისი გადატანა შემდგომ სემესტრში; ასევე, სტუდენტების მოსაზრება იყო სასწავლო კურსი განათლების ფსიქოლოგია არჩევითის ნაცვლად გამხდარიყო სავალდებულო. მათი მოსაზრებით განათლების თეორიების ცოდნა უფრო გაუმარტივდებათ პროფესიული პედაგოგიკის შესწავლას. სტუდენტებმა მოსაზრებები დააფიქსირეს ,,მოდულური და დუალური პროფესიული განათლების თეორია და პრაქტიკა 1''-ის მიმართაც, რომ საკითხების ნაწილი პირველ სემესტრში რთულად მოეჩვენათ და მათი მოსაზრებით სასურველი იყო საკითხების გადანაწილება მეორე სასწავლო კურსში „მოდულური და დუალური პროფესიული განათლების თეორია და პრაქტიკა 2“ - ში. სტუდენტების მოსაზრებები სამუშაო ჯგუფის მიერ გათვალისწინებულ იქნა. სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებით კურსი “განათლების ფსიქოლოგია” გახდა სავალდებულო და სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია როგორც პირველი სემესტრის კურსი, ხოლო “პროფესიული განათლების პედაგოგიკა” სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია მეორე სემესტრში და მისი წინაპირობაა “განათლების ფსიქოლოგია”. რაც შეეხება სასწავლო კურსებს მოდულური და დუალური პროფესიული განათლების თეორია და პრაქტიკა 1-ს და 2-ს, აღნიშნული კურსები ჩანაცვლდა კურსებით „პროფესიული განათლების პრინციპები“ და „საგანმანათლებლო პროგრამები პროფესიული და უწყვეტი განათლების სისტემაში“; გარდა ამისა, კურსში “საგანმანათლებლო პროგრამები პროფესიული და უწყვეტი განათლების სისტემაში”, მოიცავს პრაქტიკულ პროექტს, რაც სტუდენტების მოსაზრებით დაეხმარება მათ სასწავლო კურსის მასალის გაგებასა და ათვისებაში.

სამუშაო ჯგუფმა ერთი მხრივ ,,ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების, ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის, სტუდენტთა და დამსაქმებელთა მოსაზრებების გათვალისწინებით მოახდინა პროგრამის მოდიფიცირება. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული პროგრამა განსახილველად წარედგინა კურიკულუმის კომიტეტს, რომელმაც განსახილველი საკითხები ჩათვალა რელევანტურად და პროგრამის დამტკიცებას მიეცა შემდგომი მსვლელობა - განხილვა ფაკულტეტის და აკადემიურ საბჭოზე.

წარმოდგენილი მასალებით ჩანს რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და პროგრამაში ჩართული პერსონალი პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებს ხარისხის შეფასების შედეგებს; გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების მოსაზრებებს და გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე მუშაობს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესი
- პროგრამის განვითარებისთვის შექმნილი სამუშაო ჯგუფის ოქმები
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი
- სტუდენტების გამოკითხვის შედეგები;
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა "პროფესიული და უწყვეტი განათლება" ანალოგიური საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზი;
- აკადემიური საბჭოს დადგენილება საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ 12 სექტემბერი 2022. დადგენილება Na06-01/96
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „პროფესიული და უწყვეტი განათლება" შემუშავების მიზნით შექმნილი კურიკულუმის კომიტეტის შეხვედრის ოქმი - 20.04.2021 წ.
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა "პროფესიული და უწყვეტი განათლება"
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

გარე შეფასების მექანიზმებია - ავტორიზაცია და აკრედიტაცია, რომელსაც ახორციელებს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. შეფასების დროს მიღებული რეკომენდაციები გაითვალისწინება პროგრამის განვითარებისას და განხორციელებისას;

წარმოდგენილი პროგრამა იყო პირობითად აკრედიტებული - საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება MES 0 20 0001243300, 30/12/2020. დაწესებულებამ სრულად გაიზიარა ექსპერტების და საბჭოს რეკომენდაციები. მათ აღნიშნეს რომ 2020 წელს განხორციელებული გარე შეფასება და გამოთქმული რეკომენდაციები დაეხმარათ პროგრამის უკეთ გააზრებაში და გაუმჯობესებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის განსავითარებლად ასევე გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება გარე შემფასებლის მიერ. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა პროფესიული და უწყვეტი განათლება გარე შეფასების ფარგლებში შეაფასეს თსუ-ს ასოცირებულმა პროფესორმა რ.ს.-მ და საერთაშორისო ექსპერტმა, მაინცის უნივერსიტეტის (გერმანია) პროფესორმა მ. ბ.-მ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება MES 0 20 0001243300, 30/12/2020;
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა "პროფესიული და უწყვეტი განათლება" და მასში განხორციელებული ცვლილებები
- გარე შემფასებლებს შეფასება
  - თსუ-ს ასოცირებული პროფესორის რ.ს.-ს შეფასება;
  - მაინცის უნივერსიტეტის (გერმანია) პროფესორის მ. ბ.-ს შეფასება.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის დამსაქმებელთა კვლევის მიზნით ჩატარებულ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 56-მა დამსაქმებელმა. გამოკითხულ ორგანიზაციებს შორისაა საჯარო და კერძო კოლეჯები. ასევე ჩატარდა სატელეფონო ინტერვიუები პროფესიული განათლების ექსპერტებთან, უწყვეტი განათლების ცენტრების წარმომადგენლებთან. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას ჯგუფმა მხედველობაში მიიღო ხარისხის შეფასების ეს შედეგები და საგანმანათლებლო პროგრამაში გააძლიერა პრაქტიკული სწავლება, რათა უზრუნველყო დამსაქმებლების მოთხოვნები პრაქტიკული უნარების გამომუშავებასთან დაკავშირებით, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება, კვლევის და პროფესიული და უწყვეტი განათლების პროგრამების შემუშავების, ანალიზის უნარები, კომუნიკაციის უნარი, ინგლისური ენის ცოდნის მაღალი დონე - პროგრამაზე მიღების წინაპირობად განისაზღვრა ინგლისური ენა B2; ასევე, პროგრამაში არჩევითი კურსების სახით შეთავაზებულია ინგლისური ენა C1.1 და ინგლისური ენა C1.2.

აკრედიტაციის ვიზიტის დროს შევხვდით სტუდენტებს და დამსაქმებლებს. მათ დაადასტურეს რომ ჩართულნი იყვნენ პროგრამის შემუშავების და განვითარების პროცესში და ხდებოდა მათი მოსაზრებების გათვალისწინება.

უნივერსიტეტში ხორციელდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება, რაც მოიცავს სასწავლო და საგამოცდო პროცესის მონიტორინგს, სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზს. ტარდება სტუდენტთა გამოკითხვები სასწავლო პროცესის ხარისხთან დაკავშირებით. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სასწავლო კურსების სილაბუსებისა და სასწავლო მასალის მონიტორინგის, სამაგისტრო ნაშრომების მეორადი ატვირთვის მონიტორინგის, გამოცდების ორგანიზება/ჩატარების მონიტორინგის შედეგები;
უსდ-ს შექმნილი აქვს ელექტრონული პორტალი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ეფექტიანად ხარისხის შიდა მექანიზმების განხორციელება - მათ შორის, გამოკითხვების ჩატარება, მონაცემების დამუშავება, პერსონალის შეფასება, სტუდენტებისთვის სხვადასხვა ინფორმაციის მიწოდება და სხვ;
საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისთვის დაწესებულება იყენებს პოტენციური დამსაქმებლების გამოკითხვასაც და მათი მოსაზრებების გათვალისწინება ხდება პროგრამაში. აღნიშნულ ელექტრონულ პორტალზე ხდება პოტენციური დამსაქმებლების რეგისტრაცია და მათ გამოკითხვასთან ერთად, ხდება დამსაქმებლების მიერ გამოცხადებული ვაკანსიების შესახებ სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება;
ელექტრონული პორტალის მეშვეობით კონტროლდება შეფასებების დროულობა, შეფასებასთან დაკავშირებული უკუკავშირი (რომელიც პორტალის საშუალებით სავალდებულოა. კომენტარის გარეშე პედაგოგი შესრულებას ვერ დაასრულებს). დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სტუდენტთა საგამოცდო ნამუშევრებისა და ლექტორების მხრიდან გაკეთებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების მონიტორინგის ანალიზი;
აკადემიური პერსონალის შეფასება ხდება ორი მიმართულებით - აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობით - უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პორტალი, რომელზეც პერსონალი ავსებს წლის განმავლობაში განხორციელებულ აქტივობებს და ტვირთავს დამადასტურებელ დოკუმენტაციას. შეფასება ხორციელდება ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესით განსაზღვრული პირების მიერ. დამატებით გამოთხოვილ დოკუმენტაციაში დაწესებულებამ წარმოადგინა აკადემიური პერსონალის შევსებული ფორმები. მათი შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოდგენილი არ ყოფილა. თუმცა, უსდ-მ წარმოადგინა ჩატარებული კვლევები 2019-2021 წლებში გამოქვეყნებული სტატიების მონაცემების შესახებ, შეჯამებული ინფორმაცია შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის 2015-2021 წლების პროექტების შესახებ, შეჯამებული ინფორმაცია მივლინებების შესახებ, ამონაწერი ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის კურიკულუმის კომიტეტის სხდომის ოქმიდან #23-05/04 ჩატარებული 2022 წლის 30 მაისს ბსუ-სთან აფილირებული აკადემიური პერსონალის მიმართ წახალისების ღონისძიების ინიციატივის თაობაზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2019-2021 წლის ანგარიში განხორციელებული კვლევების შესახებ, რაც მოიცავს განხორციელებულ აქტივობებს საგანმანათლებლო პროგრამების განახლებასთან დაკავშირებით, სასწავლო მასალის ხარისხობრივ მონიტორინგთან დაკავშირებით, სასწავლო პროცესის და შუალედური და დასკვნითი გამოცდების მონიტორინგის შესახებ. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ დოკუმენტებთან დაკავშირებით უსდ წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ სამუშაო პროცესში ხანდახან ადგილი აქვს მოთხოვნილი ინფორმაციის დაგვიანებით წარმოდგენას, მაგრამ დამატებით გამოთხოვილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი კვლევები აჩვენებს (იმის გათვალისწინებით რომ 2022 წელი ჯერ არ დასრულებულა), რომ დაწესებულება ამუშავებს ამ მონაცემებს და იყენებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო აქტივობების და პროცესების გაუმჯობესებისთვის.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ კვლევების შედეგების წარდგენა ხდება ფაკულტეტის საბჭოზე და წამოჭრილი საკითხების გათვალისწინება ხდება პროგრამის განვითარებისთვის. პროგრამის დაგეგმვას, შემუშავებას, განხორციელებისა და განვითარების ხელშეწყობასა და მონიტორინგს კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- Moodle-ს პლატფორმაზე სამაგისტრო ნაშრომების მეორედი ატვირთვის ა ნ გ ა რ ი შ ი
- პერსონალის პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის შეფასება
- 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სასწავლო კურსების სილაბუსებისა და სასწავლო მასალის მონიტორინგი
- გამოცდების ორგანიზება/ჩატარების მონიტორინგის შედეგები; ამონაწერი ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან; ოქმი # 23-15/01; 17 იანვარი, 2022 წელი
- ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის, ბსუ-სთან აფილირებული აკადემიური პერსონალის მიმართ წახალისების ღონისძიების ინიციატივის თაობაზე; ამონაწერი ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან; ოქმი # 23-05/04; 30 მაისი, 2022 წელი
- ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის კურიკულუმის კომიტეტის სხდომის ოქმი 20/04/2021
- ამონაწერი ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის კურიკულუმის კომიტეტის სხდომის ოქმიდან #23-05/8, 9 სექტემბერი 2022 წელი
- საგანმანათლებლო პროგრამების რეკომენდაციების რუკა;
- სწავლის შედეგების მიღწევის სტატისტიკის კვლევა
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან, სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გატარდეს ღონისძიებები, რომ უზრუნველყოფილი იყოს ინფორმაციის დროული მიწოდება/შეგროვება ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით შესაბამისი სამუშაოების დროულად ჩასატარებლად.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში): -

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
პროფესიული და უწყვეტი განათლება, მაგისტრატურა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება **სტანდარტები**	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒	☐	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☐	☒	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒	☐	☐	☐

<u>ხელმოწერები:</u>

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

ქეთევან აფთარაშვილი

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების</u>

ეკატერინე გიგაშვილი

სოფიო ბაზაძე

ნინო ჯოჯუა

ანა მჭედლიშვილი